№ 33751

Date 16.03.2020

RMG GOLD

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ქალბატონო/ბატონო,

გაცნობებთ, რომ შპს „RMG Gold"-ს დაგეგმილი აქვს შპს „RMG Gold"-ის საყდრისის საბადოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების გაწმენდის მიზნით, გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 10.6. ქვეპუნქტის მიხედვით: *„ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია"* ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ამავე კოდექსის, მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ შპს „RMG Gold"-ის საყდრისის საბადოზე კარიერებიდან და ფუჭი ქანების სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლების გამწმენდი ნაგებობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

№ 4688
17.03.2020
2/2 CD

*დანართები:*

1. შპს „RMG Gold"-ის საყდრისის საბადოზე კარიერებიდან და ფუჭი ქანების სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლების გამწმენდი ნაგებობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია;

შპს RMG Gold, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
LLC RMG Gold, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;
ელ-ფოსტა: info@richmetalsgroup.com; ვებ-გვერდი: www.richmetalsgroup.com
Email: info@richmetalsgroup.com; Web-page: www.richmetalsgroup.com

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

შპს „RMG Gold"- ის

აღმასრულებელი დირექტორი

თორნიკე ლიპარტია